# სახალხო გაზეთი

№ 1073 ჰარასკევი, 20 დეკემბერი 1913 წ. № 1073

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 20 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.**

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა


## გამართულია ხელის მოწერა 1914 წლისათვის

## ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეხუთე | **„სახალხო გაზეთი“** | წელიწადი მეხუთე

1914 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა და გაზეთს ექნება

კვირაობით **სურათებიანი დამატება** კვირაობით

**პრემიად** 1914 წლის ხელის მომწერნი, ე. ი. ისეთები, რომელნიც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან, ან წინდაწინვე განაცხადებენ გაზეთის კანტორაში, რომ წლიური ხელის მომწერნი არიან, 1914 წლის განმავლობაში **მიიღებენ**

### სამს წიგნს

**პირველი წიგნი** „ქართველი მწერლები“, რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1. „უზვირგვინო მეფენი“ ისტორიული დრამა ხუთ მოქმედებად **სანდრო შანშიაშვილისა**. 2. „**მიმქრალი შარავანდედი**“ ისტორიული რომანი გ. ბარნოვისა და სხ.

**მეორე წიგნი** „უცხოეთის მწერლები“, რომელშიაც დაიბეჭდება: „**დონ-კარლოსი**“, ტრაგედია შილერისა, თარგმანი გერმანულით **სანდრო შანშიაშვილისა** და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

**მესამე წიგნი** სამეცნიერო კრებული ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

| გაზეთის ფასი | წლით | 11 თვით | 10 თვით | 9 თვით | 8 თვით | 7 თვით | 6 თვით | 5 თვით | 4 თვით | 3 თვით | 2 თვით | 1 თვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისში და მის გარედ | 8 მ. 50 კ. | 8 მ. — „ | 7 მ. 50 კ. | 6 მ. 75 კ. | 6 მ. — „ | 5 მ. 25 კ. | 4 მ. 50 კ. | 3 მ. 75 კ. | 3 მ. — „ | 2 მ. 25 კ. | 1 მ. 50 კ. | — 75 კ. |
| საზღვარ-გარედ | 15 მ. — „ | 13 მ. 75 კ. | 12 მ. 50 კ. | 11 მ. 25 კ. | 10 მ. — „ | 8 მ. 75 კ. | 7 მ. 50 კ. | 6 მ. 25 კ. | 5 მ. — „ | 3 მ. 75 კ. | 2 მ. 50 კ. | 1 მ. 25 კ. |

**ცალკე ნომერი ყველგან შაურად; დამატებიანი შვიდი კაპეიკად.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ქალაქიდან ქალაქ გარედ, ან ქალაქ გარეთისა ისევ ქალაქ გარეთისაზე 40 კაპ., ღანარჩენ შემთხვევაში ადრესის გამოცვლა უფასოა. იმ ხელის მომწერმა, რომელიც **სამივე პრემიის** მიღებას **ფოსტით** მოისურვებს, გასაგზავნ ხარჯად უნდა გამოგზავნოს ხელის-მომწერის ფასთან ერთად კიდევ **სამი აბაზი**. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

**ხელის მოწერის პირობები:** 1) წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის (8 მან. 50 კაპ.) შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით, მხოლოდ აუცილებლად შემდეგს ვადებზე: ხელის მოწერისათანავე 3 მან., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მან., 1 ენკენისთვემდე 1 მან. 50 კაპ., 2) გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა გამართულია:** 1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა დილით 9—3 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა-უქმეებისა. 20 დეკემბრიდან კი ღია იქნება: დილის 9 ს.-დან საღ. 8 ს.-მდე, კვირაობით და დღესასწაულებში დილ. 11 ს.-დან ნაშუადღევის 3 ს. 2) ქ. შ. წ.-კ. გამავ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახ. ქუჩაზე.

**ფოსტის ადრესი:** Тифлисъ Груз. газ. „Сахалхо Газети“ поч. ящ. 190.


ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი **იასონ დავითის ძე გელოვანი** ულრმესის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქუთაისში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მისი მეუღლე

**კნ. ელისაბედ** პავლეს ასული **გელოვანისა**

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე (სომხების ქუჩა. საკუთარი სახლი). დაკრძალვა კვირას, 22 დეკემბერს, დილის 9 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე. მიწვევის ბარათები არ დაიგზავნება. 4561.

**ქართული თეატრი**

**შაბათს, 21 ქრისტეშობისთვეს**

**ლექცია** სახელმწიფო სათათბიროს წევრის **გ-ნ კერენსკისა**

წაიკითხავს მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს მოღვაწეობაზე.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასი თეატრში: პარტერში 2 მ. 30 კაპეიკამდე. გალერეაში 30—15 კ. 1635.

**ელექტრონის, რენტგენის სინათლის**

**სამკურნალო**

**საწოლი ოთახებით**

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**გრიბოედოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მაზულების პროგიმნაზიისა და ვეტერინარის სახელოსნოს ახლო.**

**ტელეფონი № 580.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებ. | **ვანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მაღალაშვილი ვ. ვ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვარბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულ. | **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექტ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოვი გ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყურ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რეაქციისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. წ. 1476

ჰრობკის სამანუფაქტურო სააქციონერო საზოგადოების

**ვიკანდერ და ლარსონ-ის**

**განყოფილება ტფილისში**

**ურჩევს მუშტრებს:**

„ლიბავის ლინოლეუმ“-ს ერთფერს,

„ ლინოლეუმს ჯავარიან ქვის მსგავსს.

„ ლინოლეუმს მარმარილოს მაგვარს.

„ ლინოლეუმს სახიანს იატაკის და ტალანის, ვანისა და სხვა ოთახების მოსაფენად.

„ ლინოლეუმს შავს — საკლასო დაფისათვის.

„ ლინოლეუმს საფენს.

„ ლინოლეუმს ხალიჩას

ლინკრუსტს—კედლის საუცხოვო შპალიერად.

პრობკებს ყველა ხარისხისას.

ბოთლების კაპსულებს.

საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ნაწარმოებს ახალ სახიან კლიონკას.

დასურათებულს პრეისკურანტებს, სმეტას და ნიმუშებს მოთხოვნილებისათანავე უფასოდ ვგზავნით.

კანტორა და საწყობი ტფილისში, გოლოვინის პროსპექტი № 9.

1646

**სახალხო სახლ. ში**

**23 დეკემბერს 1913**

სახალხო სახლის არტისტების და **ნინო ჩხეიძის** და **ბ. იმედაშვილის** დახმარებით გაიმართება წარმოდგენა:

**დღენი ჩვენი ცხოვრებისა**

**ანდრეევის დრამა.**

ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალო სკოლის მოწაფეთა სასარგებლოდ. 892.

**1914 წ. მიიღება ხელის მოწერა საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ**

წელიწ. მეათე. **„ნაკადული“** წელიწ. მეათე.

(1914 წ. 1-ლ იანვრიდან 1915 წ. 1-ლ იანვრამდე).

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2.

ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა:

**მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი, მოზრდილთათვის 12 წიგნი.**

**36 სურათი,** წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებული. ჟურნალშიაც მოთხრობები და სამეცნიერო წერილები დასურათებულია.

**საჩუქრად ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი:**

**„მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქვეველი მთები“,**

(მრავალი სურათებით), **გიორგი ანთელავისა.**

**ჟურნალის ხელმძღვანელობას უწევს საგანგებოდ არჩეული კომისია.**

ფასი ჟურნალისა: ორივე გამოცემა წლიურად—5 მ., ნახევარი წლით—3 მ., საზღვარ-გარედ—7 მ., ნახევარი წლით—4 მან., მცირე წლოვანთათვის ცალკე 3 მ., მოზრდილთათვის—3 მ. ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. **ხელის-მოწერა შეიძლება:**

**ტფილისში:** „**ნაკადულის**“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, Редакція „Накадули“, Головинскій просп. № 8, და წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან, **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალიძესთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** და **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვასო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასო ახვლედიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში**—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ქიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში**—ბ. ამბოკაძესთან, **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან, **ყარსში**—ივ. საათაშვილთან, **ალექსანდროპოლში**—ს. შატბერაშვილთან, **როსტოვში**—მ. კლიმიაშვილთან, **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

ვთხოვთ ხელის მომწერლებს, ადრესი **გარჩევით** დასწერონ, თუ ჟურნალი არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და დროზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.

1631 რედაქტორი **ნ. ნაკაშიძე**. გამომც. **თ-დ პ. თუმანიშვილი.**

**საზღვარ-გარეთის კიმონო**

**რ. ა. პორტუგალოვისა**

იუწყება, რომ კუკიის (ნიკოლოზის) ხიდზე (№ 23—24) არსებულმა

**საქარხნო მაღაზიამ**

მიიღო დიდ-ძალი **შეკერილი ტანისამოსი** მამაკაცების, ქალებისა და ბავშვებისათვის. მიღებულია აგრეთვე მამაკაცთა კოსტიუმები, ქალებისათვის ქვედა ტანი და ხალათები ცალკ-ცალკე.

**ახლად მიღებულია.** ძალიან იაფად, საქარხნო ფასებზე 30 პროცენტის დაკლებით, იყიდება სეზონიდან დარჩენილი საქონელი. იმედი გვაქვს, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან.

აქვე მიიღება ყოველგვარი შეკვეთა.

1632 პატივისცემით **რ. ა. პორტუგალოვისა.**

**კიმონო**

**ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა ვ. მეჭრაბიანცი**

**დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—ჭლექი—და გულისა. შეთანაზრებული სპეციფიური ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტორაქსი. რენტგენის ელვისებური სხივებით ფილტვებისა და გულის გაშინჯვა.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. **საწყლებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

გორის პირველი კერძო
## სამკურნალო
ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.
კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.
მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.
გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:
კობერიძე მ. ს. ქირურგიული, საშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.
წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.
მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.
ბრიუკნერი ვ. ზ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 12—1 ს.-დე.
ზინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.
რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.
ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.
სამკურნალოს ამ ცოტა ხანში ექნება მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორიას. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის Wasserman-ი. წამლობა „606", „914". 1604

ახალ იკლუბი (ხაზამ. თრთ).
შაბათს 21 დეკემბერს
## მასკარადი
ქალთათვის ნიღაბი სავალდებულოა. ვისაც უნიღბობა ჰსურთ, იხდის ჯარიმას 1 მ. ტანისამოსი საცეკვაო დარბაზში მყოფთათვის: სამოქალაქო უწყებათა მოსამსახურეთათვის—შავი ტანისამოსი. დაუკრავს მემუსიკეთა ორი გუნდი. დარიგებული იქნება ოთხი ჯილდო: ორი საუკეთესო ტანისამოსისათვის, ორი—ცეკვისათვის. სტუმრები კლუბში შესასვლელს იხდიან 1 მ. ნიღაბოსნებს ბილეთების მიღება კლუბის კანტორაში შეუძლიანთ. 1635.



პირველ-ხარისხოვანი
## დიდი ცირკი
ძმ. ესიკოვსკებისა
მიხეილის პროსპ., მუშტაიდ. შესავალთან. ნ. კუნდუროვის ადგილზე,
20 დეკემბერს, 1913 წ. დანიშნულია
## კაპელდინერების ბენეფისი
1. თოკით გადაბმული კავკასიელ და რუს ფალავანთა შორის, ათ-ათი კაცი. 2 სიმძიმის აწევას და გირებით ვარჯიშობას შეასრულებს სედიხი.
მე 20 დღე ჭიდაობისა. 6 წყვილი: ვანო კაპელდინერი და ელიზაროვი; ი. ცერაძე და სოლოვიოვი; პატარა ვერელი და ჩოჩინა და სხვ. ფრანგული ჭიდაობა: შავი მასკა და საბალტიე; ვახტუროვი და ზაგორუიკო, პრუსიკი და სედიხი.
880 დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა.

## საზურთალოზე
მშვენიერ ალაგას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შეუთანხმდნენ დარჩენილი ბალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ექიმი მ. მუსხელიშვილი მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი შ. ა. მიქელაძე 15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ქ. გორში ექიმი (დოქტორანტი). მ. დ. წინამძღვრიშვილი ყოფილი. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სასეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

ექიმი ი. ი. ბერიშ... სწამლობს სამ... გახოთა, ათაშანგისა და ... ავადმყ.; გასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის
## სამკურნალო ქალ. ბაქოში
მუდმივ საწოლებით:
სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.
ფასი მორიგებით.
ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1608

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
თოლდინატორად ნამყოფი კიევის ხერვეის კლინიკაში.
იღებს იერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 737.

დოქტორი
## ი. ო. უკლადნიკოვი.
ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობა. ძიიღებს კვირა დღის გარდა დილით 9—10 ს. საღამოთი 6—7½ ს. კვირაობით 11—12 საათამდე. ოლღას ქ., № 22, ტელეფონი № 12—25. 751

ვაჟთა კერძო
## სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. გამსახურდია. ყოველ დღე, შინაგანავადმყ. 9½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.
ბ. ა. ძოძუაშვ. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.
ექ. ქალი თოხულიძისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.
ნ. მ. შელიგიაშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
გ. გ. ...შვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი ...
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.
წამლობა „606"-ით 1462

ექიმი კბილისა ვ. მ. მუმუ... ... ... ...
... ... ... ქუჩაზე № 7, საკ... ტფილისის კერძო სამკურნალო ... ... პროსპექტისა და ასტუმრო ვეტცელის ახლო. იღებს დილით 9—2 საათ. საღ. 4—7 ს.-მდე. 872

ექიმი ზ. მ. ლოლობერიძე ღებულობს ავადმყოფებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. დღისით 2—3 საათამდე. საშვილოსნო, ქალის და შინაგანი ავადმყოფობანი. სლეპცოვის შესახვევი № 3. 1524

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.


# ქართული პრესა

გაზეთ „სიტყვა"-ს დიდი, ძალიან დიდი დარდი და საფიქრებელი გაუჩენია. მთავრობას გადაუწყვეტია მომავალი ათი წლისათვის შეადგინოს სია იმ ადგილებისა, სადაც ახალი საშუალო სასწავლებლები უნდა გაიხსნას. ამის გამო გაზეთი „სიტყვა" თავის ბრძნულ დარიგებას აძლევს ბიუროკრატიას.

„აქ შეიძლება ორი გზა,—სწერს „სიტყვა",—ახალი საშუალო სასწავლებლები უმთავრესად დიდ ქალაქებში გაიხსნას. ისინი კულტურის ცენტრია, აქ მოწაფეთა მსოფლმხედველობა უფრო ადვილად გაფართოვდება და მათი გონებრივი განვითარება წინ უფრო სწრაფი ნაბიჯით გაექანება. შესაძლებელია მეორე გზაც: ეს ახალი სასწავლებლები უპირველესად სამაზრო ქალაქებსა და მოზდილ დაბებში მოეწყოს. ეს ნიშნავს საშუალო განათლების ხალხთან დაახლოვებას, უფრო დემოკრატიული წრებისთვის საშუალო სკოლის კარების გახსნას და სკოლაში მეტი დემოკრატიული სულის შეტანას. პირველი შეძლებული ხალხის სასარგებლოა, მეორე დემოკრატიის ინტერესია".

როგორ მოგწონთ დასელთა ორგანო სახაზინო გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების პროპაგანდისტის როლში! მან რომ იცოდეს, რა ესაჭიროება ქართველ ხალხს, იმ ხალხს, რომელიც რეალურად არსებობს და არა რომელიც „სიტყვა"-ს თავის გახურებული გონებით წარმოუდგენია, უეჭველია, სხვაგან იპოვნიდა ძალამოს და სახაზინო გიმნაზიებსა და პროგიმნაზიების გავრცელებაზე არ იზრუნებდა. ამ ტიპის სასწავლებელს ჩვენში თავისი განსაკუთრებული დანიშნულება აქვს და უშეცდომლადაც ასრულებს დაკისრებულ მისიას. შეხედეთ ქართველ ინტელიგენციას, ამ გიმნაზიების პროდუქტს, და დარწმუნდებით, რასაც ემსახურება ამ ტიპის სასწავლებლები. დამშვიდებული ბრძანდებოდეს გაზეთი „სიტყვა", ბიუროკრატიამ ძალიან კარგად იცის თავისი საქმე და თქვენდა დაუხმარებლადაც შეცდება „გიმნაზია ხალხს დაუახლოვოს", ის არაფერს წააგებს.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ამას წინად გაზეთი „ზაკავ. რეჩ"-ი მოუწოდებდა ქართველებს და სომხებს შესაერთებლად სომხის ბურჟუაზიის წინააღმდეგ. დღეს ვინმე „მუსულმანი" წერილს ჰბეჭდავს ამის გამო „ზაკავკაზიეში" და აფრთხილებს იმათ, რომელნიც ცდილობენ სომეხ-ქართველთა ურთიერთობის გაწვავებას და საკითხის ცალმხრივ გაშუქებას.

„დიდი ხანი არაა, სწერს „მუსულმანი", რაც ამიერ კავკასიის მაჰმადიანებმა განვლეს სიჭოროტის ის საშინელი გზა, რომელზედაც იწვევენ ეხლა მათ. მეტად ცხოველია და მწვავე მათთვის მოგონება ბრძოლისა ძმათა შორის. მწარე გამოცდილებამ დაარწმუნა მუსულმანები, რომ ყველაზე უკეთესი ისაა, ვისაც განუმტკიცებია ერთობა და კავშირი სხვებთან...

ამ რწმენით განსჭვალულნი მწუხარებით შევცქერით, როგორ გაწვავდა კამათი პოლიტეხნიკუმის საუბნეურო ადგილის შესახებ და ხელოვნურად შეხუთულ ჰაერში როგორ დაჰკარგეს ზოგიერთმა მოღვაწეებმა აზრის სიფხიზლე და უკიდურესობამდის მივიდნენ..

ჩვენ გვინდა მოვაგონოთ მათ ჩვენი მწარე წარსული და ვთხოვოთ, კარგად ჩაუკვირდნენ საქმეს და საერთო კეთილდღეობისათვის ნუ გააღრმავებენ სამწუხარო უთანხმოებას.

ღრმა სიყვარული კავკასიისადმი და გულითადი თანაგრძნობა როგორც ქართველებისა ისე სომხებისადმი იმედს გვაძლევს, რომ ჩვენი ხმა გამაფრთხილებელი იქნება, ხელს შეუწყობს მშვიდობიანობას და აღადგენს კეთილგანწყობილებას მეზობლებს შორის.

ჩვენ განსაკუთრებით გვწადიან უარვყოთ და გავაქარწყლოთ ყოველივე აზრი რამდენსამე ერის შეერთებისა რომელისამე განსაზღვრული ეროვნების წინააღმდეგ"..

ყველა ეს ნათქვამი ბ. „მუსულმანისა" სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ შეგვიძლიან თამამად დავარწმუნოთ იგი, რომ მისი გაფრთხილება სრულებით საჭიროც არაა. ქართველი ხალხი საკმაოდ მომზადებულია და იმდენი მოქალაქობრივი შეგნება კი აქვს, რომ ფიქრადაც არ გაიტაროს თავში მეზობლებზე მისევა. თუ „ზაკ. რეჩიდან" შეუფერებელი სიტყვები გადმოისროლეს, ეს სრულიად იმას არ ნიშნავს, რომ ამ გაზეთს ქართველ ხალხთან კავშირი ჰქონდეს, ან ხალხს გაზეთთან. და ვიდრე ქართველ-სომეხთა ურთიერთობის შესახებ რასმე დასწერდა, ბ. „მუსულმანი" კარგად მოიქცეოდა, თუ მართლა ქართველი ხალხის აზრებსა და მისწრაფებას გაიცნობდა.

* * *

„რუს. ვედ." ოქტომბრისტებს შორის მომხდარ განხეთქილების შესახებ სწერს, რომ როგორც ზოგიერთი, მონაწილე ამ განხეთქილებისა, ისე გარეშე მაყურებლები დარწმუნებულნი იყვნენ, დაშლა-დანაწილება ხელს შეუწყობდა პოლიტიკურ მდგომარეობის გამოცხადებას და გამოაშკარავებას.

„დრო ცრუ—კონსტიტუციონალიზმისა და ცრუ—ლიბერალიზმისა სამუდამოდ დაიმარხა. სახელმწიფო უფრო და უფრო გარკვევით უპირდაპირდება ერთი მეორეს ორი ბანაკი, რომელსაც სწადიან წინ წასვლა, და ბანაკი, რომელიც ებღაუჭება წარსულის ნაშთებს. და დღევანდელი დღის ერთი აუცილებელ პოლიტიკურ მოთხოვნილებათაგანია გადაჭრით და ცხადად განსაზღვრა ამ ორის ბანაკისა. მესამე სათათბიროს ოქტომბრისტები ხელს უშლიდნენ ამ გვარს განსაზღვრას. მათის პარტიის განხეთქილებისაგან მოელოდნენ გამოურკვეველის მდგომარეობის დასრულებას",

მაგრამ გაზეთის სიტყვით, ეს არ მოხდა და საეჭვოა, სახელმწიფო სათათბიროს ცენტრმა მიიღოს უფრო გამორკვეული სახე, ვიდრე აქამდის ჰქონდა.

# სახელმწიფო საბჭო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**18 დეკემბრის სხდომა**

**აკიმოვი** თავჯდომარეობს. უკამათოდ მიიღო საბჭომ 20 კანონპროექტი. მათ შორის არის ქალაქის უძრავ ქონებათა გადასახადის რაოდენობის კანონპროექტი. ერთი კანონ-პროექტი მცირე კამათის შემდეგ მიიღეს სათათბიროს რედაქციით ერთი კანონპროექტი დაუბრუნეს შემთანხმებელ კომისიას, რადგანაც საბჭომ სათათბიროს რედაქციაში ცვლილებანი შეიტანა.

შემდეგი სხდომა 20 დეკემბრისთვის არის დანიშნული.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

◆ **მერძეობის ნაწარმოებთა ვაჭრობა.** საგიგიენო და სასანიტარო დადგენილებებით სასტიკად აკრძალულია რძისა, კარაქისა, ხაჭოსი, ყველისა და სხვა ნაწარმოებთა ვაჭრობა მოედნებსა და ქუჩებზე. ასეთი ვაჭრობა უნდა ხდებოდეს მაღაზიებსა და საერთოდ დახურულ შენობაში. ამის და მიუხედავად, მუხრანის ეზოში და სხვა ქუჩებზე მერძეობის ნაწარმოებთ ჰყიდიან და არავინ არის იმის თავდები, რომ იგი საღია, რადგანაც მერძეობის ნაწარმოებთ, რომელსაც არაფერი აქვთ გადაფარებული, ზემოდან ადის ქუჩის მტვერი და ჭუჭყი. ამის გამო ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციაში აღიძრა აზრი, რათა მუხრანის ეზოსა და სხვა ქუჩებზე სრულიად აეკრძალათ მერძეობის ნაწარმოებთა ვაჭრობა.

◆ ტფილისის სახალხო სკოლების დირექტორმა კრუპსკიმ დიდილილოს სკოლის მასწავლებლად დანიშნა **გიორგი აბვლედიანი.**

◆ **საყინულეთა საქმის მოღვაწეთა შორის.** გუშინ, ნაშუადღევის 1 საათზე, კრების მონაწილენი ფუნიკულერის დასათვალიერებლად გაემართნენ. დაწვრილებით დაათვალიერეს მამადავითის მთა და შემდეგ საბოტანიკო ბაღი დაათვალიერეს. ნაშუადღევის 4 საათზე კრების მონაწილეთ საარტისტო საზოგადოებაში საამხანაგო სადილი ჰქონდათ.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის საბჭომ ნება დართო მასწავლებელთა და მოწაფეთა ბიბლიოთეკებში იქონიონ ხონის სემინარიის ინსპექტორ **ა. ვ. ჭიჭინაძის** მიერ შედგენილი წიგნი **„ცხელი ქვეყნების მცენარენი და ცხოველები".**

◆ **მეფის მოადგილის თანაშემწე ნ. ლ. პეტერსონი.** რუსეთის საგეოგრაფიო საზოგადოების განყოფილების თავმჯდომარედ აირჩიეს.

◆ **მერძეობისა, საგრონომიო და საკოოპერაციო საქმის შესასწავლად** ამ დღეებში რუსეთის შუაგულ გუბერნიებში მიემგზავრებიან ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ქართლის რაიონის აგრონომი ე. კარბელაშვილი და მერძეობის ინსტრუქტორი ახელაძე.

◆ **ქალაქის სამხედრო საკრებულომ** გუშინ ორი ახლად გამოცხადებული ახალგაზდა ჩარიცხა სამხედრო სამსახურში. ამას გარდა 17 დეკემბერს საკრებულომ „ვოლნოოპრედელიაიუშჩად" მიიღო ექვსი კაცი.

◆ **ახალი გაზეთი.** 27 დეკემბრიდან ტფილისში გამოვა ახალი რუსული საორშაბათო გაზეთი „ნოვოე დელო" (ახალი საქმე) ა. ცერელოვის რედაქტორობით.

## საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება 18 დეკემბერს მოხდა. კრებამ განიხილა ქართლის რაიონის აგრონომის ე. კარბელაშვილის მოხსენება იმ სამუშაოს შესახებ, რომელიც 1914 წელს ქართლის რაიონში უნდა შესრულდეს. საბჭომ მოხსენება გადასცა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სექციას, რომელსაც დაავალა მოხსენება ე. კარბელაშვილთან ერთად განიხილოს და საბჭოს თვისი დასკვნა წარმოუდგინოს. სექციამ საბჭოსაგან ნება აიღო იმისი, რომ ამ მოხსენების განხილვის დროს თავის კრებაზე მოიწვიოს სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ს. ნ. ტიმოფეევი და საგუბერნიო საერობო აგრონომი ბ-ნი დორმანი.

◆ **ახალი საზოგადოება.** ტფილისში არსდება ახალი საზოგადოება ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მოსამსახურეებისა. საზოგადოებას მიზნად აქვს, ტფილისის გუბერნიაში სარკინისგზო ახალშენი შეიძინოს და თვის წევრთათვის სახლები ააშენოს. საზოგადოების წესდება უკვე წარედგინა გუბერნატორს დასამტკიცებლად.

## სომეხთა ცხოვრება

◆ გუშინ ქართული თეატრში ახლად დაარსებულმა სომხურმა სამუსიკო საზოგადოებამ **სომხური კონცერტი** გამართა. კონცერტში მონაწილეობას იღებდა მრავალრიცხოვანი ხორო ქალვაჟთა, სიმებიანი ორკესტრი და მომღერლები ქ. აფრიკიანისა და ბ. ნალბანდიანი. კონცერტს ბევრი ხალხი დაესწრო.

◆ შანტის პიესის **„ძველი ღმერთების"** წარმოდგენა, რომელიც უნდა წარმოედგინა რუსულს დასს არტისტიულ საზოგადოების თეატრში ხუთშაბათს გადაიდვა 21 ამ თვისთვის.

## გორი.

◆ სოფ. **ზემო ბაგების** მცხოვრებს იაგორ ყულუმბეგაშვილს ჩხუბი მოუვიდა თავის ძმა სერგოსთან მამის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილ სახლის გამო. იაგორმა სერგო თოფით ზურგში მძიმედ დასჭრა.

# საყინულეთა მოწყობის საქმის მოღვაწეთა მეშვიდე კრება

**18 დეკემბერი**

თ-დ. ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვის მოხსენებას მოჰყვა ორი მოხსენება **ვ. ტიებოსი**, რომელმაც აღნიშნა დიდი მნიშვნელობა ყინულისა ღვინის დაყენების საქმეში.

შემდეგ მოხსენებანი წაიკითხეს: **მ. ტ. ზაროჩენცევმა** შემდეგს თემაზე „ხილის წინასწარ გასაცივებელი სადგური" და **მ. ი. პანომარევმა** შემდეგ სათაურით: „საყინულეთა საქმე ხარკოვში და ხარკოვის დახურული ბაზარი".

საღამოს კრება დაიწყო ტფ. ქალაქის ბეითლის ვ. ი. ლანგის მოხსენებით „ბაქტერიული გაჭუჭყიანება ხორცის სასალახოდან მომხმარებელთან მიტანამდე და გავლენა საყინულესი"

**ვ. დეტკოვმა** მოხსენება წაიკითხა შემდეგ თემაზე „საყინულე-ლაბორატორია მოსკოვის საიმპერატორო სატეხნიკო სასწავლებელთან". კრებამ მიიღო მოხსენების ტეზისები: 1) მოსკოვის საიმპერატორო სატეხნიკო სასწავლებელთან არსებული საყინულე-ლაბორატორია ნაყოფია საზოგადოებრივ თაოსნობისა, რადგანაც დაარსებულია ა. ი. ლინდისა და კერძო ქარხნის მიერ შეწირულ ფულით, 2) ლაბორატორიის განსავითარებლად და შესანახად კრება ადგენს, აღიძრას სახალხო განათლების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა, რათა ამისთვის ფული გადასდოს და ამავ სატეხნიკო სასწავლებელთან დაარსოს კათედრა საყინულე საქმისა 3) კრება აღიარებს, რომ კავკასიაში საყინულეთა საქმის გასავითარებლად აუცილებლივ საჭიროა საყინულე-ლაბორატორია განზრახულ პოლიტეხნიკუმთან და ადგენს, სთხოვოს საყინულეთა საქმის ტფ. კომიტეტს, რათა აღძრას შესაფერი შუამდგომლობა.

ამავ კრებაზე წაიკითხეს მოხსენებანი: **მ. ტ. ზაროჩენცევმა** შემდეგს თემაზე: „პროფესორ ბახმეტიევის სახელობის საყინულე-ლაბორატორია შანიავსკის უნივერსიტეტში" და პროფესორმა **დ. ნ. გოლოვნინმა** „ექსპერიმენტალური საყინულე-სადგური მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან".

**19 დეკემბერი.**

კრება დაიწყო დილის 11 საათზე **ვ. ი. დენისოვის** თავჯდომარეობით, რომელმაც წაიკითხა ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ტიმაშევისგან მიღებული დეპეშა.

პირველად წაჰკითხულ იქმნა **პროფ. ა. ვ. რიაზანცევის** მოხსენება საყინულეთა საქმის დაწესებულებებში მომუშავეთა შრომის დაცვის შესახებ. კრებამ დაადგინა, მოხსენება დაბეჭდოს და გაუგზავნოს კრების მონაწილეთ, საყინულეთა საქმის კომიტეტებს და რკინის გზის სამმართველოებს.

კრებამ ასევე გადასწყვიტა ბედი **ნ. ა. ბოროდინის** მოხსენებისა, რომელსაც სათაურად ჰქონდა „ყინული და თევზეულის შენახვა."

**თ. რ. დრეიერმა** კრების მონაწილეთ მოკლედ გადასცა საინტერესო ცნობები ჩიკაგოში მომხდარ მესამე საერთაშორისო კრების შესახებ და დასძინა, რომ მეოთხე საერთაშორისო კრება საყინულეთა საქმის მოღვაწეებისა მოხდება 1916 წელს რუსეთში.

დასასრულ წაკითხულ იქმნა მოხსენება საყინულეთა საქმის ორგანიზაციათა მოქმედების გაერთიანების შესახებ.

კრებაზე აღიძრა საკითხი, სად უნდა იქმნეს შემდეგი კრება მოწვეული. გამოირკვა, რომ ეს საკითხი გადასწყდება პეტერბურგში საყინულეთა საქმის ორგანიზაციათა წარმომადგენლების თათბირზე.

**თავჯდომარემ ვ. ი. დენისოვმა** ამის შემდეგ მოკლედ დაახასიათა კრების ნამუშავარი და კრება დახურულად გამოაცხადა.

ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის **თ-დ. კ. ნ. აბხაზის** წინადადებით კრებამ თავჯდომარეს ვ. ი. დენისოვს მადლობა გადაუხადა ნაყოფიერ შრომისათვის.

# წერილი ბაქოდან

ბაქოს ქალთა წრემ მიაღწია, როგორც იქმნა, თავის დიდი ხნის განზრახვის შესრულებას და იანვარში ბაქოს პატარა კოლონიაში გაიხსნება კიდევ ერთი სკოლა; არსდება პროფესიონალური სკოლა ქართველ ქალებისათვის.

სკოლაში სავსებით იქნება განხორციელებული ჩვეულებრივი პროგრამა ამ გვარ სკოლებისა;—იქ ასწავლიან, მაგალითად, ჭრა-კერვას, წინდების და ჩულქების ქსოვას მანქანით, ქარგვას, პალტოების კერვას და სხვ.—და ამასთანავე ასწავლიან საზოგადო განათლების საგნებსაც, როგორც მაგალით., სამღვთო სჯულს, ანგარიშს, ქართულ ენას, ხატვას და რუსულ წერა-კითხვას. სწავლა გაგრძელდება ოთხ წელიწადს. რათა ეს საქმე თავიდანვე კარგად წასულიყო, წრის უმეტესობამ დაადგინა, სწავლისათვის მცირედი ფასი მაინც დაინიშნოს, რადგან ქალთა წრეს იმდენი სახსარი არ მოეძებნება, რომ ამ საქმეს სავსებით გაუძლოს. შემდეგ კი იმედია, რომ როგორც სხვის დახმარებით, ეგრეთვე თვით სკოლის განვითარებით საქმე ისე კარგად წავა, რომ ქალთა წრეს შეეძლება მიეცემა აიყვანოს რამდენიმე უღარიბესი მოსწავლე სულ უფასოდ.

პროფესიონალური სკოლა პირველ ხანებში მოთავსებული იქნება წ. კ. გამავრც. საზ. ბაქოს განყოფილების ქართულ სკოლაში, ასე რომ სწავლა პროფ. სკოლაში იქნება მხოლოდ საღამოობით (4-8 საათამდე). ეს გარემოება საგრძნობლად შეუშლის ხელს საქმის განვითარებას, რადგან უმეტესი ნაწილი იმ ქართველებისა, რომელიც ამნაირ სკოლას უფრო საჭიროობს, ბაქოდან მოშორებით ცხოვრობს—ბალახანაში, ბიბი-ეიბათში და სხ.,—მაგრამ როგორც ზემოთა ვთქვით.

ქალთა წრე ჯერ-ჯერობით ბინის ფასის გადახდასაც უნდა მოერიდოს. როცა სკოლა დაარსდება და ბაქოს ქართველობა საქმეს დაინახავს, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ის, როგორც ყოველთვის ამნაირ შემთხვევაში, მაშინაც არ დაიშურებს თავის დახმარებას. სწორედ იმედით, რომ ბაქოელი ქართველობა თანაგრძნობით მიეგება ახალ საჭირო და სასარგებლო დაწესებულებას, გაჰბედა ქალთა წრემ ამ მძიმე საქმის დაწყება.

**ბაქოელი მანდილოსანი.**

P. S. ქართულ სხვა გამოცემათ ვთხოვთ ეს ცნობა გადაბეჭდონ ბაქოს ქართველობის საყურადღებოდ.

**ბ. მ.**

# წერილი კავკავიდან

ნალჩიკი მდებარეობს თერგის ოლქში. ეს ადგილი მდიდარია ფიჭვის ტყით და სადი სამკურნალო ჰავით. საზაფხულოდ ბლომად ეტანება ხალხი ამ ადგილს სააგარაკოდ, განსაკუთრებით ფილტვების ავადმყოფთათვის უებარი სამყოფია. როგორც ექიმები და მცოდნე პირები ამბობენ, დიდი მომავალი მოელის ნალჩიკს, იგი მეორე ადგილს დაიჭერს კისლოვოდსკის შემდეგ, როგორც კურორტი. მართლაც ნალჩიკში, მცხოვრებელთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს. აქ არსებობს საურთიერთო ბანკი და წვრილი კრედიტის ამხანაგობა, შარშან კავკავის რკინის გზიდან ნალჩიკისათვის საკუთარი შტოც გაიყვანეს და დღეს ნალჩიკში რამდენიმე მატარებელი დადის ყოველდღე.

ეს ადგილი წინათ ჩერქეზებს (ყაბარდოელებს) ეკუთვნოდათ, შემდეგ რუსის გლეხები დაასახლეს; დღეს ნალჩიკში ყველა ეროვნების ხალხს შეხვდებით. განსაკუთრებით კი რუსები სცხოვრობენ, მთიელი ებრაელები და ცოტა ჩერქეზები. სამხრეთით ნალჩიკს ჩერქეზების სოფლები ახვევია, ჩრდილოეთით ყაზახის სადგურები.

ჩვენმა რაჭველებმაც ჩქარა აიღეს ამ ადგილის სიკარგის ალღო. ნელნელა იწყეს აქ ადგილების შეძენა და ამ ხუთი წლის განმავლობაში მთელი უბანი გახდა რაჭველებისა. ეხლა ნალჩიკში 50 მესაკუთრე რაჭველი ოჯახი სცხოვრობს. ქართველების რიცხვი ნალჩიკში ყოველდღე მრავლდება და ახლო მომავალში ნალჩიკში ქართველთა რიცხვი ძალიან გამრავლდება. ამას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ როგორც ალაგირიდან, აქედანაც პირდაპირი გზა გადადის რაჭაში. საზოგადოდ ჩვენი რაჭველები კარგი საახალშენო ხალხია: შრომის მოყვარე მძიმე ჯაფის ამტანი, მომთმინო, სადაც მიდის რაჭველი, თან მიაქვს თავისი ზნე-ჩვეულება და მტკიცედ იცავს ეროვნულ ხასიათს, ამასთანავე სწავლა-განათლების მოყვარულია. ძალიან იციან თავისიანობა, ჭირში და ლხინში ერთმანეთის მიხედვა და დახმარება. ამ მხრივ რაჭველებს, ქართველებში მხოლოდ არაგვლელი მთიელები შეედრებიან, მხოლოდ ეს უკანასკნელნი ძალიან დაუდევრები არიან სწავლა-განათლების მიღების შესახებ. ნალჩიკელი ქართველები მოეწყვნენ სახლ-კარით, აიღეს იჯარით მიწები, მიჰყვეს ხელი ხვნა-თესვას. ადგილიც მადლიანი გამოდგა და ამათაც საძუდამოდ დაამყარეს აქ გული. მიაბარეს თავიანთი ბავშვები ადგილობრივ რუსის სკოლებში, მაგრამ ჩვენი ნიჭიერი რაჭველი ბავშვები ვერ მიჰყვნენ რუსის ბავშვებს სწავლაში და ჩამორჩნენ, ენის უცოდინარობის გამო. დაღონდნენ ქართველები. არჩიეს და გადასწყვიტეს რამენაირად ქართული სკოლა დაარსონ. ამ ჟამათ აქ 50-დე სასკოლო ბავშვია. გაგზავნეს კავკავის ქართველებთან ორი ამორჩეული პირი: თევდორე ლომჯანიძე და პეტრე გოგვაძე საკითხავად და დახმარების სათხოვნელად. კავკავის განყოფილების გამგეობამ ურჩია შეედგინათ განაჩენი, რა ხარჯის გაწევა შეუძლიათ ნალჩიკელ ქართველებს სკოლის შესანახად. ხუთი დღის უკან ამორჩეული კაცები დაბრუნდნენ ისევ კავკავში განაჩენით, რომელშიაც მთავარ გამგეობას სთხოვენ გახსნას ნალჩიკში ქართული სკოლა, გამოუგზავნოს მასწავლებელი თავისი ხარჯით, თავისი მხრით ქართველები აღუთქვამენ სკოლისთვის ბინას, საჭირო ავეჯეულობის შეძენას, განათლებას, გათბობას, მსახურს. თავიანთ შორის ნალჩიკელმა ქართველებმა ამოირჩიეს კომისია, რომელმაც გააწერა შეძლებისა და გვარად ადგილობრივ ქართველებს წლიური ხარჯი. ბევრმა იმ დღესვე გადიხადეს სიხარულით თავიანთი ხვედრი. ამოირჩიეს პატარა გამგეობა. ამ საქმეს სათავეში უდგას ივანე გიორგისძე ლომჯანიძე, რომელიც მდივანი და ხაზინადარია გამგეობისა. ამისმა ძმამ თევდორემ ერთის წლით უფასოდ (4 ოთახი) სკოლისათვის. თევდორე ლომჯანიძე ემუდარებოდა კავკაველ ქართველებს: „ძმებო გვიშველეთ, ერთი კერა დაგვიარსეთ, რომ ამ კერის გარშემო შემოვკრბეთ, მივიღოთ განათლება და შევინახოთ ჩვენი ეროვნული ხასიათი და დედა ენა, თორემ გარწმუნებთ გადავგვარდებით და ხელიდან გამოგვეცლებით. კავკავის განყოფილების თავმჯდომარემ ა. გ. დუმბაძემ დიდი სიხარულით მიიღო ნალჩიკელების თხოვნა და აღუთქვა ყოველივე შესაძლებელი დახმარება, დაიმედა ნალჩიკიდან მოსული ქართველები, ყოველ ღონეს ვიხმარებ, რომ ნალჩიკში სკოლა გაგიხსნათო. გახარებული დაბრუნდნენ ნალჩიკელი ქართველები შინ. კავკავის განყოფილებამ ხსენებული განაჩენი თავისი დასაბუთებული მოხსენებით მთავარ გამგეობას გაუგზავნა ტფილისში. იმედია მთავარი გამგეობა მხურვალედ მოეკიდება ამ საქმეს. მართალია წ. კ. გამავრც. მთავარი გამგეობა დიდს უსახსრობას განიცდის ჩვენი დაუდევრობით და გულ-გრილობით, მაგრამ ამ საქმისათვის როგორმე უნდა გამონახოს საშუალება და რამდენიმე წლით მაინც მისცეს მასწავლებელს ჯამაგირი. მერმე იმედია თითონ ნალჩიკელები გაუძღვებიან თავიანთ საქმეს. წინააღმდეგ შემთხვევაში იქაური ქართველები იძულებულნი იქნებიან მიმართონ თხოვნით სასულიერო მთავრობას, ალაგირის სკოლისავით, მათაც გაუხსნან სკოლა. ეს იქნება ერთხანად კარგიც იყოს, მაგრამ საბოლოვოდ არ ვარგა.

ჩვენი ხალხი ძალიან ეტანება თერგის ოლქს, ყოველ დღე აუარებელი ქართველობა მოდის აქ, სახლდებიან ქალაქებში, სტანიცებში. საჭიროა ჩვენმა წ.-კ. მთავარმა გამგეობამ ამ ქართველებს თან მიაყოლოს თავისი მშობლიური მზრუნველობა. შესაძლებელია, ქ. გროზნაში მცხოვრებ ქართველებშიაც ჩქარა აღეძრათ სურვილი ქართულ სკოლის გახსნისა. ქ. გროზნაში ამ ბოლო ხანში ქართველთა რიცხვი ძალიან გამრავლდა, სულ ხელოსნები და ვაჭრებია იქაური ქართველები. დ. არმავირშიაც მრავალი ხელოსანი და ღვინით მოვაჭრე ქართველია. იქაური რუსის საკვირაო სკოლის საბჭომ შარშან გახსნა ხსენებულ სკოლასთან ქართული სექცია. საკვირაო სკოლისათვის მისცა ბინა გათბობით და განათებით. ერთმა იქაურმა ქართველმა ინტელიგენტმა წერილით მაცნობა ეს გარემოება და მთხოვა მეშუამდგომლა გამგეობასთან, გაეგზავნათ არმავირის ქართველების საკვირაო სკოლისათვის ქართული სახელმძღვანელო წიგნები და რვეულები, თუ უფასოდ არ შეიძლება, ფასდადებით მაინც გამოგვიგზავნეთო. მე წერილობით მოვახსენე ამის შესახებ გამგეობას. გამგეობამ დაადგინა ეცნობოს არმავირელ ქართველებს, პირდაპირ განყოფილების გამგეობას მომართონ.

**მღ. გ. ნათაძე.**

# ქართველი სტუდენტების გასამართლება

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

დეკემბრის თერთმეტში ოდესის საოლქო სასამართლოს მეორე განყოფილებაში გაარჩიეს საინტერესო საქმე ხუთმეტ ქართველ სტუდენტისა. ეს სტუდენტები დაპატიმრებულნი იყვნენ ამა წლის 17 მარტს კრებაზე ოდესაში, ჯერ ადმინისტრაციის განკარგულებით რამდენსამე კვირას ისხდნენ ციხეში, შემდეგ გაანთავისუფლეს, მაგრამ სასამართალში მისცეს. განაჩენი მკითხველებს უკვე ეცოდინებათ დეპეშიდან ახლა გადმოგცემთ საქმის ვითარებას უფრო ვრცლად.

**სასამართლოს დარბაზი.**

სასამართლოს დარბაზთან დილის ცხრა საათიდანვე უცდიდა საქმის დაწყებას ხალხი. იმ დროს, როდესაც საქმე დაიწყო, ე. ი. თერთმეტ საათზე, უკვე აუარებელი ხალხი მოგროვდა და მიუხედავად იმისა, რომ დარბაზი მთლად გაჭედილი იყო, გარეთაც ბევრი დარჩა, შიგ შემოსვლა ვერ მოახერხა. იყვნენ უმთავრესად, რასაკვირველია, ქართველი სტუდენტები. საქმის გარჩევას დაესწრო აუარებელი გარეშეც,—რუსობა, ებრაელობა. ყველა დიდის ინტერესით უგდებს ყურს საქმის

# „სახალხო გაზეთის“ კანტორა

1913 წლის წლიურ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ მეორე პრემიის „ქართველთა ერის ისტორიის“ პირველი ტომისთვის უკვე მოგვივიდა პეტერბურგიდან სურათები და ფერადი რუკა ძველი საქართველოსი. პირველი ტომი ხსენებული შრომისა უკვე დაბეჭდილია და ამ მოკლე ხანში დაურიგდება ხელის-მომწერლებს. წიგნის მეორე ტომიც იბეჭდება და დაბეჭდვისათანავე დაუყოვნებლივ დაურიგდება 1913 წლის წლიურ ხელის-მომწერლებს.

მსვლელობას, გულით მოწადინებულია გამართლებასა და ბრალდებულთა განთავისუფლებასა.

**ბრალდებულნი.**

ბრალდებული სულ ხუთმეტი კაცია: ვ. ქლენტი, დ. ჩხელარია, შ. ავალიანი, ვ. ხავთასი, კ. მოსეშვილი, ქ. დიბრაძე, გ. ურუშაძე, მ. იაშვილი, პლ. ვეფხვაძე, ა. პაპავა, ა. ქებულაძე, ს. მესხი, ი. მაჭავარიანი, ს. ბერძნიშვილი და კ. ქავთარაძე. ყველა ბრალდებული ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტია, გარდა ბ-ნ მოსეშვილისა და კ. ქავთარაძისა. პირველი უკვე ექიმია, მეორე მასწავლებელი. ზემოხსენებულ ბრალდებულებში ვერ გამოცხადდნენ: ი. მაჭავარიანი, ს. ბერძნიშვილი და კ. ქავთარაძე. მიუხედავად ამისა, დამცველ ბ. უშვერიძის თხოვნით გამოუცხადებელთა საქმე არ გამოუყვიათ და იმ დღესვე განიხილეს.

გამოწვეული იყო ხუთმეტამდე მოწმე. სხვათა შორის, პროფ. მელიქიშვილი და ვასკოვსკი, რომელნიც არ გამოცხადებულან, პირველი იმიტომ, რომ უწყება ვერ ჩაუბარებიათ, მეორე გამოურკვეველ მიზეზის გამო. საერთოდ მოწმე მხოლოდ რვა კაცი გამოცხადდა. ექსპერტად და ქართულის მთარგმნელად იყო პრივატ-დოცენტი ბ. ს. ავალიანი.

**საბრალმდებლო ოქმი.**

საბრალმდებლო ოქმი მოკლედ ასეთია: ჟანდარმთა სამმართველოდან მიმდინარე წლის 17 მარტს პოლიციას ცნობა მოსვლია, სტ. ვიქტ. ბეიერის ბინაზე ქართველი სტუდენტობის კრება იქნებაო. მაშინვე წასულან პოლიციელები ნაჩვენებ ბინაზე და იქ მართლაც უნახავთ ზემოხსენებული ხუთმეტი ქართველი სტუდენტი. პოლიციას მაშინვე გაუჩხრეკია, როგორც ის ბინა, სადაც კრება იყო, აგრეთვე კრების ყველა მონაწილეთა ოთახები. უპოვნიათ რამდენიმე რვეული ქართულად დაწერილი, წერილები: დორპატის უნივერსიტეტის სათვისტომოსაგან და პასუხი ოდესის სტუდენტებისა ამ წერილის გამო. უპოვნიათ აგრეთვე რამდენიმე ცალი საანკეტო ფურცლისა. ყველა წაღებულ ქაღალდების გადათარგმნის შემდეგ სასამართლოს მსაჯულს შეუდგენია საბრალმდებლო ოქმი, რომლის საფუძველი შემდეგია: ხუთმეტ ქართველ სტუდენტს ჰბრალდება მონაწილეობა „ოდესის ქართველთა ნაციონალურ პარტიაში“, რომელსაც მიწერ-მოწერა და ურთიერთობა ჰქონდა ამისთანავე ორგანიზაციასთან დორპატში. ეს ორგანიზაცია მთავრობისაგან ნებადაურთველია და რადგან ამ ფარულ საზოგადოებისათვის ფულიც უგროვებიათ, ზემოხსენებულმა სტუდენტებმა პასუხი უნდა აგონ 124 მუხლის პირველი ნაწილის ძალით (სამი თვის ციხე). თავის დროზე კრების მონაწილენი დასჯილნი იყვნენ ადმინისტრატიულად. გამომძიებელს შემდეგი აუწყეს: შეკრებილნი ვიყავით ქართულ საღამოს საბოლოო ანგარიშის შესადგენად და მსჯელობა გვქონდა კიდეც განსვენებულ პროფ. პეტრიაშვილის გვამის საქართველოში გადასვენების თაობაზე. საპოლიტიკო პარტიის და უკანონო საზოგადოების წევრები არა ვართ, უბრალო საგნებს ვარჩევდით კრებაზეო.

სასამართლოში ყველა ბრალდებულმა განაცხადა—დამნაშავედ არ ვცნობ თავს და არც რაიმე განმარტება მსურსო.

**მოწმეები.**

პირველად გამოჰკითხეს სტ. ბეიერს. ეს ბეიერი გერი ყოფილა ცნობილ დუმბაძისა. კრება მის ბინაზე მოხდა. სტუდენტები დააპატიმრეს იმ დროს, როდესაც ბეიერი შინ არ იყო. მოწმემ შემდეგი განაცხადა: კრების დაწყებისას მე იქ ვიყავი, შემდეგ კი საქმის გამო სხვაგან წავედი. ლაპარაკი იყო ქართული საღამოს ანგარიშების მოწესრიგებისა და პროფ. პეტრიაშვილის გვამის საქართველოში გადასვენების შესახებ. როდესაც დავბრუნდი, ბინაზე უკვე პოლიცია დამხვდა:

**ბრალმდებელი.** თქვენ ნახეთ თუ არა ქართულ ენაზე დაწერილი რვეულები?

**მოწმე.** დიაღ, ვნახე. ქართული მესმის, თუმცა წერა-კითხვა არ ვიცი.

ჩემთან წაიკითხეს რვეულის ადგილი და გავიგე, რომ იქ საღამოს ანგარიშები იყო.

შემდეგ გამოჰკითხეს ბოქაულის თანაშემწეს და უბნის ზედამხედველს, რომელთაც ახალი არა მიუმატებიათ-რა საბრალმდებლო ოქმში ნათქვამისათვის.

საინტერესო იყო სტუდენტის პ. ქავთარაძის, მგელაძისა, ა. წერეთლის, პ. ჯაფარიძის და კუპრაშვილის ჩვენება. ყველა ამათ ერთხმად აღიარეს, რომ ოდესაში რაიმე ორგანიზაცია არა ყოფილა, მუდმივი ორგანო; ისე კი ერთმანეთში ქართველ სტუდენტებს დიდი კავშირი გვაქვს, ვეხმარებით ურთიერთს, ვმართავთ საღამოებს; შემოსულ ფულით დახმარების უწევთ უღარიბეს ამხანაგებს და ამას ვჩადით არა ფარულად, არამედ პირდაპირ. რაც გენებოთ ის უწოდეთ ამ ჩვენს კავშირს, გნებავთ სათვისტომო, გნებავთ საზოგადოება. უნდა კი ვსთქვათ, რომ მუდმივი ორგანიზაცია არაფერი ყოფილა. გამგეობა, რწმუნებულთა წარმომადგენელნი და სხვანი ჩნდებოდნენ იმდენად, რამდენადაც გაჭირვებაში იყო ქართველი სტუდენტობა და რამდენადაც ვეხმარებოდით ვისმე. ქართული სათვისტომოები არსებობს რამდენსამე ქალაქში, სხვათა შორის, მოსკოვში. რაც შეეხება საანკეტო ფურცლებს, ეს ლეგალური არის და გამოგვიგზავნა სამეცნიერო წრემ, რომელიც პეტერბურგში არსებობს და რომლის ხელმძღვანელად ითვლება პროფ. ივ. ჯავახიშვილი. კრებების გამართვა უნივერსიტეტში აკრძალული იყო, ჩვენ კი უეჭველად გვესაჭიროებოდა მოლაპარაკება, რადგან ამას მოითხოვს განაწილება ფულისა, შედგენა უღარიბეს სტუდენტთა სიისა, რომელთაც უნდა მისცემოდათ უნივერსიტეტის გამგეობიდან ფული და სხვა და სხვა.

სტ. პ. ქავთარაძის, ა. წერეთლის დ. მგელაძის ჩვენებას სიამოვნებით ისმენდა დარბაზი. ისეთი ატმოსფერა შეიქმნა, თითქოს სტუდენტები არიან ყველანი, მოსამართლეები, ბრალმდებელი, დამცველები და სხვანი; სტუდენტობაც მოუთხრობს თავის გაჭირვებას, მოუთხრობს, თუ როგორ ყველაფერი ხელს უშლის ერთმანეთში კავშირის განმტკიცებას, და მიუხედავად ამისა, მაინც რაღაც არსებობს და არსებობდა, იარსებებს მომავალშიაც. ამ მოწმეების ლაპარაკის დროს დამნაშავეთა სკამზე ისხდა არა მარტო 15 კაცი, არამედ თვით მოწმენი, დამნაშავედ გრძნობდა თავს მთელი დარბაზი, თუ დანაშაულობაა ერთმანეთთან კავშირი და სათვისტომოს არსებობა. ამ ხანს მთელი დარბაზი ერთის გრძნობით იყო გამსჭვალული და ამ ერთმა გრძნობამ გაგვაერთიანა ყველანი...

შემდეგ წაიკითხეს ზოგიერთი გადათარგმნილი ადგილი. აღმოჩნდა, რომ ნაპოვნ რვეულებში ყოფილა ოქმები „ნაციონალ პარტიისა“. ირკვევა, რომ რეგულიარი კრებები ჰქონიათ, ჰქონიათ მიწერ-მოწერა დორპატის „ნაციონალ პარტიასთან“.

მაგრამ მალე გამოირკვა ამ უცნაურ საქმის კურიოზი. ბ-ნმა სიმ. ავალიანმა გადათარგმნა წერილები და აღმოჩნდა, რომ ვიღაც უვიც თარჯიმანს სიტყვა „სათვისტომო“ უთარგმნია ყველგან „Національная партія“-დ ბ-ნმა ავალიანმა ახსნა სიტყვა სათვისტომო და ამნაირად სასამართლოს დაუმტკიცა, რომ სათვისტომოს არაფერი აქვს საერთო „ნაციონალნი სოიუზთან“. ამის შემდეგ ბრალდება პარტიობის შესახებ უკუგდებულ იქმნა და ლაპარაკობდნენ მხოლოდ სათვისტომოს უკანონო არსებობის თაობაზე.

ბრალმდებელმა მოითხოვა საქმის ქაღალდებისათვის მიემატებინათ ორი საბუთი: მოწმობა უნივერსიტეტისა, რომ ქართული სათვისტომოს არსებობისათვის ნება არავის დაურთავს, თუმცა ბევრჯერ ქართველებმა ითხოვეს, მეორე ქალაქის უფროსისა ამავე ხასიათისა.

ამის შემდეგ დაიწყო მოწინააღმდეგეთა სიტყვები.

**ბრალმდებლის სიტყვა.**

ბრალმდებლის თანაშემწე ნ. ბარანოვმა აღნიშნა: ჩვენ ერთი ფაქტი გვაქვს—ბეიერის ბინაზე მომხდარი კრება. მოწმეების ჩვენება ამ შემთხვევაში ვერაფერს გვეტყვის, რადგან ერთი მათგანიც კი არ ყოფილა კრებაზე. რა ჰხდებოდა კრებაზე? ამას გვამცნობს ოქმები სხდომებისა, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია, „სათვისტომო ჯერ-ჯერობით არალეგარულად არსებობს“. ქართველი სტუდენტები დაყოფილი ყოფილან ჯგუფებად (10 კაცი), თითო ჯგუფს ჰყოლია წარმომადგენელი და სხვა. ყველა ამიტომ ბრალდებულნი დამნაშავედ მიმაჩნია და უნდა გავასამართლოთ 124 მუხლის ძალითაო.

**დამცველთა სიტყვები.**

ბრალდებულთ საუკეთესო ვექილები იცავდნენ: ბ. ბ. ცვილინგი, რატნერი, ლიბერმანი, უშვერიძე, სლონიმი.

პირველად ილაპარაკა და გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა ნაფიც ვექილის თანაშემწემ ბ-ნ ევს. უშვერიძემ.

ის ფაქტი, რომ ბრალდებულთა სკამზე 15 სტუდენტი ზის, არაჩვეულებრივ მდგომარეობას ჰქმნის—ამბობს ბ-ნი უშვერიძე. რაც უნდა იყოს, მარტო ბრალდება კმარა ადამიანისთვის, რომ სთქვას, აქ უეჭველია რამე იყოო. დიაღ, ჩვენც ვიცით და ვგრძნობთ რომ რაღაც იყო და ამის არსებობას არ უარვყოფთ. მაგრამ რა იყო, რა არსებობდა?

მდგომარეობა ქართველ სტუდენტებისა იმგვარია, რომ ყველაფერი, რასაც ეხლა მოისმენთ, არ არის გასაკვირველი. ქართველი სტუდენტების შეერთება და ურთიერთის დახმარება უცხოეთში, დიდ ქალაქში ადვილად ასახსნელია და არც ბოროტმოქმედებაა. ცოდნის წყურვილმა, გადმორეკა ეს ახალგაზდობა საქართველოდან და გაჭირვებამ აიძულა შეერთებულიყო, კავშირი ჰქონოდა ერთმანეთში. ისინი ოფიციალურად არ შეერთებულან, მაგრამ მოვალეობა ამხანაგის დახმარებისა სხვებთან ახლოვებს. ოდესაში ებრაელებს, სომხებს, პოლონელებს, უკრაინელებს აქვთ დამხმარე საზოგადოება, ქართველებს არა. მთავრობის ნებართვით ჰმართავენ საღამოს და არ იციან, შემოსავალი როგორ გაინაწილონ: უნივერსიტეტში კრება არ შეიძლება, კერძო სახლში—აპატიმრებენ. აჩირებული და აუტანელი მდგომარეობაა.

თარგმანი სასაცილოა. „სათვისტომოს“ სთარგმნიან „ნაციონალ პარტიად“ და სხვა. ბრალდებულებმა უკვე მოიხადეს სასჯელი—ადმინისტრატიულად უკვე ჩასვა ციხეში „გრადონაჩალნიკმა“. მაშ რისთვისღა სხედან ეხლა აქ? რუსეთის იუსტიციაში ეს პირველი მაგალითია, როცა სტუდენტს ამხანაგის დახმარებას უკრძალავენ. თუ რაიმე დანაშაული მიუძღვის ამ ხალხს, მხოლოდ ისეთი, რომელსაც სრულიად არ შეეფერება 124 მუხლი; ეს სადისციპლინო სასამართლოს საქმეა.

სტუდენტებს არა ჰქონიათ რაიმე მუდმივი ორგანიზაცია, სათვისტომო. ესენი რომ დამნაშავენი იყვნენ, ნებართვას აღარ მოითხოვდნენ. მე მოვითხოვ ამათ გამართლებას. უკვე მოიხადეს საკმაო სასჯელი. გაანთავისუფლეთ ეს ახალგაზდანი და მიეცით საშუალება შორეულ, განაპირა ქვეყანას წასვლისა, იქ კულტურის გავრცელებისა. ასეთი ხალხი რუსეთისათვის ძლიერ საჭიროაო—დაათავა ბ-ნმა უშვერიძემ სიტყვა. შემდეგ ილაპარაკეს დანარჩენმა ვექილებმა, აღნიშნეს, რომ 124 მუხლის ძალით ირჯებიან ისეთი საზოგადოების წევრები, რომელთაც ქვეყნისათვის მავნე მიზანი დაუსახავთ. სათვისტომო თავის თავად საეკონომიო ორგანიზაცია არის და თუნდ დამტკიცდეს მისი არსებობა, მაინც არ შეიძლება ეს ხუთმეტი კაცი დასაჯოთო.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ დასვა საკითხი: ქართულ სათვისტომოს წევრობა ბრალდებულთა. „ნაციონალური პარტია“, როგორც უვარგის თარგმანის შედეგი, უკუგდებულ იქმნა. საქმე უნაფიც მსაჯულებოდ ირჩეოდა.

**განაჩენი.**

სასამართლოს თითქმის ერთს საათს ჰქონდა ბჭობა. შემდეგ გამოაცხადეს გადაწყვეტილება: ყველა ბრალდებული სრულიად გაამართლეს. ხალხზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ განაჩენმა. თუმცა დილად დაღლილი იყო, რადგან პროცესი დილის თერთმეტ საათიდან საღამოს ხუთ საათამდე გაგრძელდა, ხალხი ამისთანა განაჩენის შემდეგ ნასიამოვნები დაიშალა.

**ლხინი.**

იმავე ღამეს პროცესის მონაწილეებს ქართველმა სტუდენტებმა წვეულება გაუმართეს. სხვათა შორის წვეულებას დაესწრნენ ბ-ნ-ნი ზავიალოვი და შჩეპკინი. დიდი ლხინი ყოფილა. პროფ. ზავიალოვს ქართველი სტუდენტობა უქია, როგორც ავანგარდი მოწინავე სტუდენტობისა. „ქართველები ფიზიკურად აზიაში ხართ, მაგრამ თავით, გონებით შუა ევროპაშიო“ —უთქვამს ბ-ნ ზავიალოვს. წარმოთქმულა სხვა საინტერესო სადღეგრძელოებიცა. აქაურ გაზეთებში ვრცელი ანგარიშები იყო ამ საქმის შესახებ.

**ქ. რ.**

# უცხოეთი

**ოსმალეთი.** რუსეთი, საფრანგეთი და ინგლისი შეთანხმდნენ და უნდოდათ საერთო ფინანსიური ბოიკოტით დაესაჯათ ოსმალეთი გერმანელ სამხედრო ხელმძღვანელების მოწვევის გამო. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს შეთანხმება ძლიერ სუსტი და ხანმოკლე გამოდგა. ბოიკოტი პირველად რუსეთმა მოითხოვა და საფრანგეთმა, როგორც მოკავშირეს, მხარი დაუჭირა, ხოლო კერძოდ ჩუმი მოლაპარაკება გამართა ოსმალეთის მთავრობასთან და როგორც ეხლა ირკვევა, ოსმალეთმა ზოგი რამ ახალი შეღავათი მისცა საფრანგეთს, რისთვისაც უკანასკნელი თანხმაა გაანაღდოს ოსმალეთის სესხი. ეს გარემოება დიდს უკმაყოფილებას იწვევს რუსებში.

**შვეცია.** ამ ბოლო დროს შვეციას საზოგადოებრივი აზრი ძლიერ აღელვებულია რუსეთის წინააღმდეგ. უკანასკნელს სწამებენ შვეციაში შესევის განზრახვას. ცნობილმა მოგზაურმა სვენ ხედინმა რამდენიმე საჯარო კრება გამართა ამ მიზნისთვის და ცხარე აგიტაცია გასწია რუსის მთავრობის საწინააღმდეგოდ. ამ დღეებში „ქალთა სოციალ-დემოკრატიულმა კავშირმა“ კრება მოიწვია ამავე საკითხის გამოსარკვევად. კრება, რომელზედაც მიწვეული იყო ხედინიც, გახსნა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ქ-ხმა ფრესელმა და განუმარტა დამსწრეთ კრების მიზანი: ომის მომხრენი მოითხოვენ სახელმწიფოს შეიარაღების გაძლიერებას, სთქვა თავმჯდომარემ: და ჩვენ მოვიწვიეთ ისინი აქ, რომ გამოსთქვან თავიანთ აზრი და ჩვენც ჯეროვანი პასუხი გავსცეთ და შევებრძოლოთ მილიტარისტებს.—პირველად ილაპარაკა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მდივანმა ფრედრიკ სტრემმა იმის შესახებ, თუ რატომაა საჭირო სამხედრო გადასახადების შემცირება და ბრძოლა მილიტარიზმის წინააღმდეგ. სტრემს უპასუხა სვენ ხედინმა, რომელმაც მკვახედ და ცხარედ გაჰკიცხა პოლიტიკური პარტიების ლიდერები იმისათვის, რომ ასე გულცივად ეპყრობიან სამშობლოს დაცვას უცხოელთა შემოსევისაგან. სვედინმა მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება იმ საფრთხეს, რომელსაც უმზადებს რუსეთი შვეციას. მე ვიცნობ რუსის ხალხს, სთქვა მან, იგი ფრიად გულკეთილი და მშვიდობიანია, მაგრამ ომის საკითხს დღეს რუსის ხალხი კი არ სწყვეტს, არამედ მთავრობა, რომელიც ყველა მთავრობაზე უფრო აგრესიულია; ეს მთავრობა ემზადება ჩვენს წინააღმდეგ. ამის ანგარიში უნდა გავუწიოთ და შესაფერი ზომები მივიღოთო.

**ინდოეთი.** გაზეთ „ტაიმსის“ სიტყვით, ძლიერ გამწვავებულია მდგომარეობა ინდოეთში. გასაოცარმა ეკონომიურმა განვითარებამ უკანასკნელ წლებში და მართველი წრეების გალიბერალებამ მშვიდობიანობა და ინგლისელთა და ინდოელთა დაახლოვება კი არ გამოიწვია, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთი დამოკიდებულება და გააძლიერა უკმაყოფილება ინგლისის წინააღმდეგ. დღითი დღე იზრდება მოძრაობა მთავრობის საწინააღმდეგოდ; ინდოელები ყოველგვარს საშუალებას ხმარობენ მთავრობის დასამცირებლად და მისი სახელის გასატეხად. განათლებული ინდოელები, რომლებიც სწავლა-განათლებას ინგლისურ სასწავლებლებში იღებენ, მთელს თავის ძალ-ღონეს ხარჯავენ იმაზე, რომ ძირს დასცენ ინგლისელები. ძლიერდება და ღრმად იკიდებს ფეხს სარევოლუციო აგიტაცია და მთავრობა უძლურია, წინააღმდეგობა გაუწიოს ყველაფერს ამას. მდგომარეობა მეტად საშიშია.

ინდოელების რიცხვი 1911 წ. აღწერილობით იყო 313 ნახ. მილიონი, აქედან წერა-კითხვის მცოდნე 18 ნახ. მილ., ხოლო ინგლისურის წერა-კითხვის მცოდნე 1 ნახ. მილ.

# რუსეთი

**ს.-დ—ები და პოლიცია.**

ამას წინად დამცველმა განყოფილებამ დააპატიმრა სახ. სათათ. ს.-დ, ფრაქციის მწერალი ხ. კრილე-

ნკო. ამის შესახებ დეპუტატი მალინოვსკი [illegible] ბის უფროსთან მივიდა და ეუხსნა, რომ [illegible] მხოლოდ ტექნიკურ სამუშაოს ასრულებდნენ. [illegible]

„პრავდის“—განცხადებით [illegible] დეპუტატების [illegible].

[illegible] შემდეგ პოლიციის დეპარტამენტის დირექტორთან [illegible].

ს.-დ. დეპუტატები ამის შესახებ სწრაფ შეკითხვის შეტანას აპირებენ სათათბიროში („დენ“).

**უკრაინული მუზეუმი.** ლვოვში 14 ამ თვეს გაიხსნა ახალი რუსინო-უკრაინული ეროვნული მუზეუმი. მუზეუმში 15 ათასი ნივთია რუსინების არქეოლოგიისა, ეთნოგრაფიისა, კულტურისა და ხელოვნების დარგებიდან და ათასობით ძვირფასი ხელნაწერები. [illegible]

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. სხდომას უნდა განეხილა ზედა პალატის [illegible]

**პარიზი.** [illegible]

**ვენა.** [illegible]

**სოფია.** 18 დეკემბერს [illegible]

**ბერლინი.** გერმანიის [illegible]

**ტოკიო.** [illegible] 13 [illegible]

**ნიუ-იორკი.** ცნობები [illegible] რიან: მექსიკაში, პრეზიდიო-დელი-ნორტეს მახლობლად 36 საათის განმავლობაში სწარმოებს ბრძოლა მეამბოხეთა და მოკავშირეთა ჯარის შორის. მეამბოხენი 5,000 კაცია ჯარში 4,000 მეომარი. მრავალია მოკლული და დაჭრილი. მეამბოხეებმა აიღეს ქალაქის წინა სიმაგრეები. ჯარებმა ქალაქისკენ დაიხიეს.

**მარმართში-სიგეტი** უგრორუსთა პროცესი. შეძლებულმა გლეხმა პალკონინეცმა თავის თავი დამნაშავედ სცნო და აღიარა, მართლმადიდებელ სარწმუნოებისაკენ ჯერ კიდევ ჯარისკაცობის დროს მიმიწევდა გული, მართლმადიდებელი სარწმუნოება მიყვარს, მაგრამ მისიონერად არას დროს არა ვყოფილვარ, კათოლიკობა ურიგოდ არ მიხსენიებია; პოლიტიკასთან შორს იდგა. გრაფ ბობრინსკისა და ეპისკოპოს ევლოგისა ჩემს დღეში არა გამიგია. ხელმეორედ გამოჰკითხეს ვოორომჩუკს, რომელმაც პოლკონინეცის სიტყვები დაადასტურა. შემდეგ ჩვენებას ართმევენ ბაბინეცს. ბაბინეცი არანორმალურ ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენს, გაურკვეველ პასუხს იძლევა. სასამართლოს ექიმმა განაცხადა, ბაბინეცის სალათას ძილი მოსდისო. მისი ჩვენების ჩამორთმევა 20 დეკემბრისთვის გადასდეს.

**სტამბოლი.** 18 დეკემბერს ოსმალეთის იმპერიის დაარსების წლის თავზე დიდი მანიფესტაცია მოხდა. რამოდენიმე ათასი სტუდენტობა და მოწაფეები დადიოდა ქუჩა-ქუჩა და სამამულიშვილო სიმღერებსა ჰმღეროდა. იმართებოდა კრებები; პატრიოტული სიტყვები წარმოითქვა.

**პარიზი.** 18 დეკემბერს „ჯიოკონდა“ დაათვალიერეს. იგი ნამდვილი აღმოჩნდა.

**სოფია.** ფერდინანდ მეფემ მიიღო გენადიევის გადადგომა. მის ნაცვლად დროებითი მართვა-გამგეობა გარეშე საქმეთა სამინისტროსი რადოსლავოვს ჩააბარა.

### რუსეთი.

**პეტერბურგი.** 18 დეკემბერს მოხდა უკანასკნელი სხდომა უწმინდესის სინოდისა. შემდეგი სხდომა 12 იანვარს მოხდება.

**პეტერბურგი.** კანონთა დებულების კრებულში გამოცხადებულია: „უმაღლესად ნებადართულია ყველა ხარისხის მომხმარებელთათვის საზღვარ-გარეთიდან უგადასახადოდ შემოტანა ნავთისა და მაზუთისა, კანონი ძალაშია 15 დეკემბრიდან 1913 წლიდან, ვიდრე ახალი კანონი არ გამოიცემა.

**პეტერბურგი.** 18 დეკემბერს სამეცნიერო აკადემიაში გაიმართა თათბირი პეტერბურგში 1918 წლისთვის ისტორიკოსთა საერთაშორისო კონგრესის მოწვევის თაობაზე.

**პეტერბურგი.** (ოფიციალური ცნობა). „ვეჩერნეე ვრემია“-ში დაბეჭდილი იყო წერილი „დიპლომატიის კულისების იქით“, საცა დაწვრილებით იყო მოთხრობილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ბაასი გერმანიის კანცლერთან. ოფიციალურის ცნობით, წერილის შინაარსი ყოველივე სიმართლეს არის მოკლებული. ამგვარ წერილებს მხოლოდ ბოროტი მიზანი აქვთ, ხელი შეუშალონ სახელმწიფოთა მეგობრულ ურთიერთობასო. თუ რამე იქნებოდა მსგავსი, მინისტრებისაგან გავიგებდით, მაგრამ მინისტრებს არავისთვის არაფერი უთქვამთ.

**პეტერბურგი.** ინგლისელთა ახალ კლუბში წლიური ბანკეტი მოხდა. ინგლისის ელჩმა სიტყვა წარმოსთქვა; მისი აზრით ერთად-ერთი სასიხარულო მოვლენა 1913 წელში ბალკანეთის ომის ლოკალიზაცია იყო. რუსეთი და ინგლისი ხელ-ხელ ჩაკიდებული ჰმოქმედებდნენ მშვიდობიანობის დასამყარებლად.

**ოდესა.** ერთ-ერთ სტამბაში აღმოაჩინეს საიქციზო დიდ ძალი ყალბი ბანდეროლი და კლიშე. სტამბის პატრონი დააპატიმრეს.

## ღია წერილი
### ბ-ნ „სიტყვა“-ს

„სახალხო გაზეთის“ 1063 ნომერში მოთავსებულ „დღიურში“ სწერთ: „კრებაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ბაქრაძე და რომელზედაც ბჭობა-კამათი რუსულ ენაზე სწარმოებდა, ერთმა დამსწრეთაგანმა სრულიად საფუძვლიანად მოითხოვა: გასაგებ ენაზე გველაპარაკეთ და გაგვაგებინეთ, რასა სწყვეტთო. ეს მეტად ეუცხოვა და ეწყინა თავმჯდომარეს და ერთნაირის დაცინვის კილოთი მიმართა მეორე წევრს: ის ვიღაც დემოკრატია, რუსული არ ესმის და ქართულად გადაუთარგმნეთ ჩვენი სიტყვებიო.. და როცა გაზეთმა აღნიშნა მისი ყოვლად შეუფერებელი საქციელი, იგივე დაცინვა გადმოისროლა გაზეთის „მჯდაბნელების“ წინააღმდეგ“.

ნება მიბოძეთ განვაცხადო, რომ ასეთ ამბავს სრულიად არა ჰქონია ადგილი. იმ კრებაზედაც, რომელზედაც ლაპარაკია, ყველა მოხსენებანი ქართულს ენაზე იყო წაკითხული; კამათი, უმეტეს შემთხვევაში, ქართულს ენაზე სწარმოებდა, ლაპარაკობდნენ რუსულადაც.

როდესაც ბ-ნმა ირაკლი რამიშვილმა, რუსულად ნათქვამს ჩემს კითხვაზე: „თქვენ წინააღმდეგნი ხართ წინადადებისა თუ მომხრე“? მთხოვა განემარტა—რას ნიშნავს მომხრე („ზა“). რადგანაც ბ-ნ რამიშვილს ვიცნობდი, როგორც ენამახვილ მოლაპარაკეს, რომელსაც თავისი მოსწრებული სიტყვითა და ოხუნჯობით ხშირად დაუმსახურებია დამსწრეთა ტაში, მე მეგონა, რომ ამ შემთხვევაშიაც, ჩინებულად იცის რა ჩემი სისუსტე ქართულს ენაში, სარგებლობს ჩემის არაჩვეულებრივ გაჭირვებულ მდგომარეობით, როგორც შემთხვევითის და მოუმზადებელ თავმჯდომარისა, ბ-ნ რამიშვილს ჰსურდა ჩემი გამოწვევა. ამან ამაღელვა და მართლაც, ცოტა გაჯავრებულის კილოთი უთხარ კრების მდივანს: „გეთაყვა გადაუთარგმნეთ მაგას“.

კრების შემდეგ ბ-ნმა რამიშვილმა პირისპირ საუბარის დროს განაცხადა, რომ მან მართლაც ვერ გაიგო სიტყვა „ზა“ და მეც ვუპასუხე მას: „მაშ, მე მართალი არა ვარ“.

არავითარ დემოკრატზე, რა თქმა უნდა, ლაპარაკი არა ყოფილა. არავითარ უპატივცემულობასა და ირონიაზე აქ არ შეიძლება ლაპარაკი. „გაზეთის მჯდაბნელების“ გამასხარავებასაც ადგილი არა ჰქონია.

როდესაც კერძო საუბრის დროს გადმომცეს, რომ ბ-ნ კორდელმა „სახალ. გაზეთში“ მისაყვედურა ქართული ენის უცოდინარობა, და ბ-ნ რამიშვილის თხოვნის (გადათარგმნის შესახებ) შესრულების უსურვილობა და გაჯავრება, ეს საყვედური და მისი აღნიშვნა გაზეთში სამართლიანად ჩავთვალე. თვითონ წერილი კი არ წამიკითხავს.

სულ ეს არის, რაც იყო. და რომ ასე იყო, ყოველთვის შეგიძლიანთ დარწმუნდეთ და პირადად მეც მზად გახლავართ ჩემი ნათქვამი დავამტკიცო, თუ კი მოისურვებთ.

მიიღეთ ჩემი უღრმესი პატივისცემა ს ბაქრაძე.

## თეატრი და ხელოვნება

✦ **ქართული თეატრი.** 27 დეკემბერს **ზარდალიშვილის საბენეფისოდ** დრამატიული დასი ვლ. მესხიშვილის რეჟისორობით დასდგამს „ჰამლეტს“. ჰამლეტის როლს მობენეფისე შეასრულებს.

მსახ. **გ. არადელ-იშანელს** თავის საბენეფისოდ აურჩევია **„ჩრდილოეთის გმირები“**. ამ პიესისთვის განსაკუთრებული დეკორაციები და ტანისაოსი მომზადდება.

**სახაზინო თეატრი.** ტფილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ სახაზინო თეატრში 20 იანვარს დასდგამენ ოპერას **„კამორა“**. ოპერის შემდეგ გაიმართება ბალეტი და სიმღერები. საღამოს გამგედ მიწვეულია ქ-ნი პრ. ა. პოპოვისა.

## ჩაუბარებელი დეპეშები

დერბენდიდან—ქარსიძეს, სოხუმიდან—იავორსკისას, ოჩემჩირიდან—ლაქერბაიას, ორენბურგიდან—ხომენტოვსკისას.

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

## დეპეშები
(დეპეშათა პუნქტი. სააგენტოსაგან).
**19 დეკემბერი.**
**უცხოეთი.**

**კოპენჰაგენი.** ბორნჰოლმისა და ფალსტერის კუნძულზე ძლიერი ქარიშხალი მძვინვარებდა, რამაც წყალდიდობა გამოიწვია. შვეციის ქალაქებში ისტადსა და ტრელებორგში წყალმა საკმაოდ იმატა.


## მატარებელთა მიმოსვლა
18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).
**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, ჩქარი პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, სამგზ.-საბარგო ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, საფოსტო საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, სამგზავ. სად. 6 ს. 29 წ., № 106, ნარევი მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათუმისაკენ:** № 3, საფ. დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, საჩქარო პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, სამგზ. ღამის 10 ს. 30 წ., № 107, ნარევ. მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, სახ. დილ. 8 ს. 3 წ. № 19, სამგზავრ. ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**ჯულფისკენ:** საფ. № 4/3, შუადღ. 12 ს. 0 წ.

**ყარსისკენ:** სახ. № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24/23, საბარგ.-სამგზ. სად, 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, საფ. დილის 9 ს. 1 წ., № 11, საბარ.-სამგზ. დილ. 10 ს. 28 წ., № 7, სამგ. მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, საჩქარო—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, სად. 9 ს. 35 წ., № 105, ნარევ., მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათუმიდან:** № 10, სამგზ. დილ. 8 ს. 40 წ. № 12, სამგ. ნაშუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე), № 8, სამგზ. სად. 5 ს. 54 წ., № 4, საფ. სად. 9 ს. 16 წ., № 106, ნარევი ღამ. 2 ს 12 წ.

**გუდაურიდან** № 41/3 საღამოსი 7 საათსა და 26 წუთზე. [illegible]

[illegible] № 26/25 [illegible] 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

## ფეხსაცმელები
## თომა დ. ჯახუარაშვილის
[illegible]
[illegible] ქ. № 2.

მიღებულია, ახალი ზამთრის სეზონის საქონელი ვარშავის და პეტერბურგის მექანიკური ნაწარმოებისა. ფასები საფაბრიკოა.



855

## სამშობიარო თავშესაფარი
## თ. უხარელისა

გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვორონცოვის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

## ექიმ ნავასარდიანის
## პირველი კერძო
## სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
**დილით:**
**„606“ და „914“**
11—12 ს. **შეშხაპუნება** კონსულტაციურად.

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავადმ.
**ბ. გ. ავასართოვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
**ქ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულიანი:** 10—11 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვთა და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
**ქ. დ. გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

**საღამოთი:**
**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგეებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1—2 პ. **ფომინა-თოპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
3—4 და რუსის ბაზარში **ქ-ნ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709)
9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).
10—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და გვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ-ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყნის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მაიაკნის მოედანზე.

## მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის
## „ხმა კახეთისა“-ზე
წლიწადი მესამე
**გაზეთის ფასი:**

| ფოსტით გაგზავნა. | სიღნაღში. |
|---|---|
| 1 იანვრიდან წლის დამლევამდე . . . 4 მ. | 1 იანვრიდან წლის დამლევამდე . . . 3 მ. |
| ნახევარი წლით. . . 2 „ 25 კ. | ნახევარი წლით . . 1 „ 80 კ. |
| ერთი თვით. . . . — 50 „ | ერთი თვით. . . . — 35 „ |

**სოფლებში აგენტთან.** ერთი წლ. 3 მ. 50 კ., ნახევარი წლ. 2 მ., ერთი თვით 35 კ. **ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.**
მისამართი: ქ. სიღნაღი К. I. Ткавадзе.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვებში

## მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
## მმ.
## ძმებველოვები.
**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.**
**ტელეფონი № 712.**

ახალ-ახალი
მტკვრის თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
**ვაგრეთვე იყიდება მაილოვის**
## ხიზილალა.
**კოლოფით ციტკა და ხმელი სოკო ვგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დოში, იანი, შიპა, ზურგიელები** და სხვა ყოველნაირი **თევზეულობა** და
## კონსერვები.
1560

## მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.
ყოველ-დღიურ საპოლიტიკო, საზოგადო საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთ
## „ბათუმის ღღე“-ზე
**ხელის მოწერის ფასი**

| | 1 წლით. | ½ წლით. | თვიურად. |
|---|---|---|---|
| ქალაქის ხელის მომ. . . | 7 მან. | 4 მან. | 1 მან. |
| სხვა ქალაქებში . . . . . | 8 მან. | 5 მან. | 1 მ. 20 კ. |
| საზღვარ-გარედ . . . . . | 14 მან. | 8 მან. | 2 მან. |

მისამართის გამოსაცვლელად ბათომიდან სხვა ქალაქებში 1 მან. ქალაქიდან ქალაქში—50 კაპ.
**რედაქციისა და კანტორის მისამართი:** ბათომი, მარინის პროსპ. № 10
1610 რედაქტორ-გამომცემელი **ვლ. ვლ. სახნოვსკი.**

**გამოსულია და იყიდება**
## ი. გედევანიშვილის პიესა
## „გ ა მ ც ე მ ი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
**საზოგადოებისავე გამოცემული და საკუთარი საყმაწვილო წიგნები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ასპინძის ომი . . . . . | 7 კ. | სიგნალი. ნათ. კვირიკაძისა . . | 2 „ |
| ამოდის ნათდება—ვაჟასი . . | 15 „ | სინიდისის ხმა, ნათ. . . . | 2 „ |
| ალი. ლომოურისა . . . . | 10 „ | სამი მოთხრობა. ნათარგმნი . . | 3 „ |
| ამირანის ლეკსი, დასურათებული . | 30 „ | იოანე სორდალი. ნათ. ი. ყიფ. . | 3 „ |
| ბუნების ცოდნა. პოლბერი . . | 25 „ | მელიას თავგადასავალი . . . | 25 „ |
| გულივერის მოგზაურობა . . | 30 „ | მათიკო და მისი გიშერა . . | 5 „ |
| გლეხის ნაამბობი . . . . | 20 „ | სამი ცელქი. მღვიმელისა . . | 15 „ |
| ერეკლე მეფე და ინგილო ქალი . | 5 „ | ძუნწი და ნატვრა მისივე . . | 10 „ |
| თავდადებულნი ქართველნი . . | 7 „ | ცვარი—მისივე . . . . | 20 „ |
| ივანემ რა ჰქმნა? . . . | 5 „ | ოქროს თავთავი . . . . | 15 „ |
| კაცია ადამიანი . . . . | 20 „ | მეფე ლამზა . . . . | 7 „ |
| მოთხრობანი კლდიაშვილისა . . | 30 „ | ნელო და პატრაში. . . . | 10 „ |
| რობინზონ კრუზო . . . . | 30 „ | სამი მოთხრობა ს. ყიფიანისა . | 5 „ |
| საყმაწვ. მოთხრ. ე. გაბაშვილისა . | 30 „ | სამი საყმაწვილო ამბავი ვაჟა-ფშავ. | 15 „ |
| საარაკო თავგადას. ტიხტ. მემკვიდრისა | 10 „ | **ახალი წიგნები:** | |
| ქაჯანა . . . . . . | 5 „ | გენაცვალე (ნოტები სსიმ.) გრიშაშვ. | 25 „ |
| ყოველ ის მხრიდგან . . . | 10 „ | სპინგილო **ჯანაშვილისა** . . | 1 მ. |
| ჩარლზ პარნელი . . . . | 25 „ | 1) ბედის ტრიალი, 2) ლაზარემ გიდააჭარბა ან. ერისთავ-ხოშტარიასი | 60 კ. |
| ორი მხატვარი . . . . | 15 „ | | |
| მაგდანას ლურჯა—ეკ. გაბაშვილისა | 5 „ | კამისია, მისივე . . . . | 15 კ. |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас.

Открыта подписка на 1914 годъ
## СОВРЕМЕННЫЙ МІРЪ
24-й г. изданія. 24-й г. изданія.
**Ежемѣсячный литературный, научный и политическій журналъ.**

На 1914 г. въ числѣ другихъ намѣчены къ печати: БЕЛЛЕТРИСТИКА: Романы: В. Сѣрошевскаго („Затишье“), К. и О. Ковальскихъ; повѣсти И. Потапенко („Новая Кровь“), А. Федорова („Чудо“); разсказы Д. Айзмана („Ночь на Теревѣ“), Ив. Бунина; В. Муйжеля („Хуторъ № 16“) Н. Осиповича („Солистъ его величества“), Евг. Чирикова („Перелетъ“), Ив. Шмелева („На бережку“) Кромѣ того, съ января печатается авторизованный переводъ съ рукописи новаго романа Генриха Мана („Вѣрноподданный“); ПОСТОЯННЫЕ ОТДѢЛЫ: Ал. Кранихфельда („Литературные отклики“), Н. Рязанова („Въ Россіи и на Западѣ“ — историч. матеріалы), Ник. Іорданскаго („Политическія замѣтки“), Л. Клейнборта и I. Ларскаго („Вопросы текущей жизни“), Евг. Чирикова („Провинціальныя картинки“), Демьяна Бѣднаго („Басни и сатиры“), Иностранное обозрѣніе, Библіографія. СТАТЬИ: А. Алексинскаго. В. Бонч-Бруевича, Л. Дейча, А. Коллонтай, Н. Морозова, Г. Плеханова, Н. Рожкова, А. Финна-Енотаевскаго, Г. Цыперовича и мн. друг.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ (съ дост. и перес.): годъ—9 р.; ½ года—4 р. 50 к. ¼ года—3 р. За границу—12 р. годъ 6 р.—полгода. Безъ доставки въ Спб.—8 р. въ годъ и 4 р.—полгода.

Въ 1914 году, желая удовлетворить назрѣвшую потребность демократическаго читателя въ идейномъ и общедоступномъ по цѣнѣ журналѣ, издательство СОВРЕМЕННЫЙ МІРЪ выпускаетъ
## 2-ое УДЕШЕВЛЕННОЕ ИЗДАНІЕ
книжками (160—200 стр.), въ которыя войдутъ главнѣйшія художественныя произведенія и статьи перваго изданія.
условія подписки: годъ—4 р.; ½ года—2 р.; 3 мѣсяца 1 р.
Адресъ: С.-Петербургъ, Надеждинская, 33.
Редакторъ Ник. Іорданскій. Подробный проспектъ высылается безплатно. Издательница М. К. Іорданская.


ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა.